ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის" რექტორის

ბრძანება №02-02/144

ქ. თბილისი 05. 07. 2012

ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში" 2012-2013 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში
შიდა მობილობის ვაკანსიების, ვადებისა და პროცედურის დადგენის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის" მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „ა-გ" ქვეპუნქტების, ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის" წესდების მე-6 მუხლის; ამავე უნივერსიტეტის დებულების მე-10.4 პუნქტის; ამავე უნივერსიტეტის „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" VI თავის მე-4 და მე-5 მუხლების; ამავე უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა (1/908, 26.06.2012), ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის (1/949, 04.07.2012), ფიზიკა-მათემატიკურ და კომპიუტერულ მეცნიერებათა (1/905, 25.06.2012), სოციალურ მეცნიერებათა და სამართალმცოდნეობის სკოლების (ფაკულტეტების) დეკანატების წარდგინებების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს ვაკანსიები შიდა მობილობისათვის 2012-2013 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სკოლების (ფაკულტეტების) შესაბამისად:
   1.1. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლაში (ფაკულტეტზე)
      1.1.1. ისტორიის მიმართულებით (საბაკალავრო პროგრამაზე): 3-3 ადგილი III და V სემესტრებში;
      1.1.2. ფილოლოგიის მიმართულებით (საბაკალავრო პროგრამაზე): 3 ადგილი V სემესტრში;
   1.2. ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის სკოლაში (ფაკულტეტზე)
      1.2.1. ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით (საბაკალავრო პროგრამაზე): 4 ადგილი III სემესტრში, 3 ადგილი V სემესტრში;

1.3. ფიზიკა-მათემატიკურ და კომპიუტერულ მეცნიერებათა სკოლაში (ფაკულტეტზე)

1.3.1. ინფორმატიკის მიმართულებით (საბაკალავრო პროგრამაზე) - 2 ადგილი;

1.3.2. მათემატიკის მიმართულებით (საბაკალავრო პროგრამაზე) - 2 ადგილი;

1.3.3. ფიზიკის მიმართულებით (საბაკალავრო პროგრამაზე) - 5 ადგილი;

1.3.4. მეხსიერების ნერვული მექანიზმები (სადოქტორო პროგრამაზე) - 5 ადგილი;

1.4. სოციალურ მეცნიერებათა და სამართალმცოდნეობის სკოლაში (ფაკულტეტზე)

1.4.1. ფსიქოლოგიის მიმართულებით (საბაკალავრო პროგრამაზე) - 3 ადგილი;

2. 2012 - 2013 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის შიდა მობილობის ვადები განისაზღვროს შემდეგი წესით:

2.1. მსურველთა განცხადებების (შესაბამისი დეკანატის მიერ დამოწმებული სტუდენტის სასწავლო ბარათის ასლითურთ) მიღება საქმისწარმოებისა და სასწავლო პროცესის რეგულირების სამსახურში - 16 - 23 ივლისი;

2.2. კრედიტების აღიარება მიმღები სკოლების (ფაკულტეტების) დეკანატების მიერ - 24 - 26 ივლისი;

2.3. აღიარებული კრედიტების გაცნობა სტუდენტებისათვის - 27 ივლისი;

2.4. სკოლების (ფაკულტეტების) დეკანატების მიერ მასალის წარდგენა შესაბამისი სამართლებრივი აქტის მოსამზადებლად - 30 ივლისი;

2.5. შიდა მობილობის ფარგლებში სტუდენტებისათვის სკოლის/საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის თაობაზე ბრძანების პროექტის მომზადება და გამოცემა - 30 - 31 ივლისი;

3. ბრძანება გასაცნობად დაეგზავნოთ: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, საქმისწარმოებისა და სასწავლო პროცესის რეგულირების სამსახურს, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის, ფიზიკა-მათემატიკურ და კომპიუტერულ მეცნიერებათა, სოციალურ მეცნიერებათა და სამართალმცოდნეობის სკოლების (ფაკულტეტების) დეკანატებს, პროგრამული უზრუნველყოფისა და ელექტრონული რესურსების რეგულირების სამსახურს;

4. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე;

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, რექტორი

პროფესორი სერგო ვარდოსანიძე